

შპს „დუსან ჯორჯია“

2020 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	708059	290427
სავაჭრო მოთხოვნები		2411140	2083047
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		113331	127563
სხვა მარაგები		4908110	3501258
სხვა მიმდინარე აქტივები		12669	10749
სულ მოკლევადიანი აქტივები		8153310	6013044
ძირითადი საშუალებები	3.2	418748	477110
სხვა არამატერიალური აქტივები		22173	22173
ბიოლოგიური აქტივები		2732	2732
თვითღირებულების მოდელით			
სულ აქტივები		8596963	6515059
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		2189972	1704985
საგადასახადო ვალდებულებები		688506	(0)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		26943	8609
გამოუმუშავებელი შემოსავალი		231316	292928
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3.3	952033	512602
სხვა ვალდებულებები		239	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4089008	2519123
პარტნიორთა კაპიტალი		12	12
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		4507943	3995923
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8596963	6515059

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.

შპს "დუსან ჯორჯია"

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2020	2019
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.4	13491470	14805853
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10268457)	(11770937)
საერთო მოგება		3223013	3034916
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(147700)	(181230)
პერსონალის ხარჯი		(1275218)	(1444022)
საკონსულტაციო ხარჯი		(37860)	(23216)
საგადასახადო ხარჯი		(3919)	(5545)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(12841)	(125000)
კომუნალური ხარჯები		(13716)	(14802)
იჯარის ხარჯი		(188059)	(205634)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(240406)	(227469)
ცვეთა და ამორტიზაცია		(104205)	(90416)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.5	(350956)	(992866)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		848133	(275283)
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
საპროცენტო შემოსავალი	3.6	7403	9516
საპროცენტო ხარჯები	3.6	(60921)	(42181)
საკურსო სხვაობა		(309895)	(411034)
ნეტო შედეგი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან		11469	(117001)
სხვა შემოსავალი		21093	807574
სხვა ხარჯები		-	-
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		517283	(28410)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(9796)
წლის (ზარალი)/მოგება		517283	(38206)
სხვა სრული შემოსავალი			-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		517283	(38206)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.

შპს "დუსან ჯორჯია"

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	4492616	4492628
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(38206)	(38206)
განაწილებული დივიდენდი	-	(458486)	(458486)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	3995923	3995935
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	517283	517283
განაწილებული დივიდენდი	-	(5263)	(5263)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	4507943	4507955

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.

შპს "დუსან ჯორჯია"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2020 წ.	2019 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	138585	(610201)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	(5000)	(446717)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	264475	444132
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	398060	(612786)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	290427	877833
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	19572	25380
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	708059	290427

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „დუსან ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 15 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404955036, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საქართველოს სამხედრო გზაზე მუხათგვერდის სასაფლაოზე ასახვევ გზასა და ფირმა "შანი"-ს შორის. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. საანგარიშო პერიოდის დასრულების მომენტისათვის კომპანიის წილის მფლობელები არიან: შპს „დ.კ. კომპანი“ (ს/კ426522809)-51%; დავით გიორგობიანი (პ.ფ.01017000104)- 40%; გია მუჯირი (პ.ფ.01017001181) – 4%; მიხეილ გაბრიჩიძე (პ.ფ.01026006748)-5%.

1.3. კომპანიის დირექტორია ალექსი ასკურავა (პ.ფ.01008009721).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სამშენებლო ტექნიკით ვაჭრობა, მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და სპეცტექნიკის სარემონტო მომსახურება. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 2 ადგილიდან (1 - ზესტაფონი, 1 - თბილისში).

1.5. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფას-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები

და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი;
1 EUR=3.1553 ლარი.
2020 წელს: 1 USD=3.1097 ლარი;
1 EUR=3.5521 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

ლარი	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული	320	554
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე	637198	289437
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე	70541	436
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	708059	290427

3.2. ძირითადი საშუალებები:

ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირ. საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	260	40979	434324	79035	375930	302304	1232833
შესყიდვები	-	-	17894	4382	31175	113019	166470
გასვლები	-	-	(136709)	-	(51754)	-	(188463)
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	260	40979	315510	83417	355352	415323	1210841
ცვეთა							
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(7408)	(295395)	(42672)	(236899)	(173350)	(755724)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(1567)	(17201)	(10482)	(60890)	(42383)	(132522)
გასვლები	-	-	44399	-	51754	-	96153
ცვეთის ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(8975)	(268196)	(53153)	(246035)	(215732)	(792092)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 1 იანვარს	260	33571	138930	36363	139032	128954	477110
2020 წლის 31 დეკემბრს	260	32004	47313	30264	109317	199590	418748

3.3 სასესიო ვალდებულებები:

როგორც 2019 წლის, ასევე 2020 წლის ბოლოს კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შედგება ადგილობრივი ლიცენზირებული ინსტიტუტებიდან ნასესხები ბიზნეს სესხებისაგან.

3.4 ამონაგები

ლარი	2020 წ.	2019 წ.
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	12652306	13911585
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	839164	894268
სულ ამონაგები	13491470	14805853

3.5 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

ლარი	2020 წ.	2019 წ.
საოფისე ინვენტარის ხარჯი	34812	13180
საკანცელარიო ხარჯი	633	573
კომპიუტერის ხარჯები	2436	2364
კომუნიკაციის ხარჯები	21945	21756
დაზღვევა	66189	66595
საბანკო ხარჯები	31200	35314
მივლინების ხარჯი	29135	38145
რემონტი (გარდა ავტოტრანსპორტისა)	56117	71041
საავტომობილო ტექნიკის შეკეთება/რემონტი	72917	52397
წარმომადგენლობითი ხარჯი	4332	3871
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	31241	687630
სულ მიწოდების და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	350956	992866

3.6 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები:

2020 წლის კომპანიის საპროცენტო შემოსავლები შედგება ადგილობრივ ბანკებში განთავსებულ საბრუნავ ფულად სახსრებზე დარიცხული სარგებლისგან, ხოლო საპროცენტო ხარჯები გაწეულია საბანკო ბიზნეს სესხებთან მიმართებით.


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	708059	290427
სავაჭრო მოთხოვნები		2411140	2083047
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		113331	127563
სხვა მარაგები		4908110	3501258
სხვა მიმდინარე აქტივები		12669	10749
სულ მოკლევადიანი აქტივები		8153310	6013044
ძირითადი საშუალებები	3.2	418748	477110
სხვა არამატერიალური აქტივები		22173	22173
ბიოლოგიური აქტივები		2732	2732
თვითღირებულების მოდელით			
სულ აქტივები		8596963	6515059
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		2189972	1704985
საგადასახადო ვალდებულებები		688506	(0)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		26943	8609
გამოუმუშავებელი შემოსავალი		231316	292928
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3.3	952033	512602
სხვა ვალდებულებები		239	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4089008	2519123
პარტნიორთა კაპიტალი		12	12
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		4507943	3995923
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8596963	6515059

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი

30.09.2022 წ.



/ალექსი ასკურავა/

შპს "დუსან ჯორჯია"

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2020	2019
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.4	13491470	14805853
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10268457)	(11770937)
საერთო მოგება		3223013	3034916
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(147700)	(181230)
პერსონალის ხარჯი		(1275218)	(1444022)
საკონსულტაციო ხარჯი		(37860)	(23216)
საგადასახადო ხარჯი		(3919)	(5545)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(12841)	(125000)
კომუნალური ხარჯები		(13716)	(14802)
იჯარის ხარჯი		(188059)	(205634)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(240406)	(227469)
ცვეთა და ამორტიზაცია		(104205)	(90416)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.5	(350956)	(992866)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		848133	(275283)
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
საპროცენტო შემოსავალი	3.6	7403	9516
საპროცენტო ხარჯები	3.6	(60921)	(42181)
საკურსო სხვაობა		(309895)	(411034)
ნეტო შედეგი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან		11469	(117001)
სხვა შემოსავალი		21093	807574
სხვა ხარჯები		-	-
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		517283	(28410)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(9796)
წლის (ზარალი)/მოგება		517283	(38206)
სხვა სრული შემოსავალი			-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		517283	(38206)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.

შპს "დუსან ჯორჯია"


კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	4492616	4492628
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(38206)	(38206)
განაწილებული დივიდენდი	-	(458486)	(458486)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	3995923	3995935
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	517283	517283
განაწილებული დივიდენდი	-	(5263)	(5263)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	4507943	4507955

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი

30.09.2022 წ.

 /აღიქსი ასკურავა/

შპს "დუსან ჯორჯია"


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2020 წ.	2019 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	138585	(610201)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	(5000)	(446717)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	264475	444132
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	398060	(612786)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	290427	877833
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	19572	25380
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	708059	290427

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი

30.09.2022 წ.



/აღიქსი ასკურავა/